

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის
N23 ბინაზე, მოქალაქე ნუგზარი ნოზაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N23 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნუგზარი ნოზაძის განცხადება /2013 წლის 17.07 N6-7470/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N23 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნუგზარი ნოზაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე /საერთო ფართობი 24,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 24,00 კვ.მ, საერთო სარგებლობის საზაფხულო ფართობი 5,41 კვ.მ./ მოქალაქე ნუგზარი ნოზაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი